საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

სადუნიშვილი თინათინ აკაკის ასული



თ. სადუნიშვილი

სადუნიშვილი თინათინ აკაკის ასული (დ. 22. XII. 1952, თბილისი), ბიოტექნოლოგი, ბიოქიმიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2015; წ.-კორ. 2009), აკადემიკოს-მდივანი (2019), მეცნიერებათა მსოფლიო აკადემიის (TWAS) წევრი (2021). საქართვ. ეროვნ. პრემიის ორგზის (2020, 2022) ლაურეატი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996).

დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1975), თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინ-ტის სინქრონული თარგმნის უმაღლესი კურსები (1987), იერუსალიმის ებრაული უნ-ტის საერთაშ. სწავლების დეპარტამენტის ბიოტექნოლოგიისა და კვების ტექნოლოგიის კურსები (1996).

მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტში (ახლანდ. ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტი) უფროს ლაბორანტად (1974-78), უმცროს (1978-85), უფროს (1986-94) და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად (1994-96); აზოტის ასიმილაციისა და ფიქსაციის ფერმენტების ლაბორატორიის (2011-იდან გადატანილია აგრარულ უნ-ტში) ხელმძღვანელად (2005). იყო სტუ-ის ბიოტექნოლოგიის კათედრის პროფესორი (1994-2004), მთ. მეცნიერი თანამშრომელი (1996-2005); აგრარული უნ-ტის სრული პროფესორი (2013); ე. ლორანდის უნ-ტის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) მიწვეული პროფესორი (1987-88); შანდუნის (ჩინეთი) ტექნოლ. უნ-ტის საპატიო პროფესორი (2015); მრავალი საერთაშ. სემინარის, კვლევის, პროგრამის მონაწილე და ხელმძღვანელი; აზიის მეცნ. აკადემიებისა და საზოგადოებების ასოციაციის (AASSA),

ასევე მეცნ. და ინჟინერიის ქალთა სპეც. კომიტეტის (WISE) წევრი (2017); საქართვ. ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლ. ასოციაციის თანადამფუძნებელი (2018); მრავალი საპატიო სიგელისა და მედლის მფლობელი; საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ჟურნ. „მოამბის“, აგრეთვე “Journal of Agrarian Science“-ის სარედაქციო საბჭოსა და მრავალი საერთაშ. საზ-ბის წევრი.

ს-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა აზოტის შეთვისება და მეტაბოლიზმი მცენარეებში; ამონიუმის პირველადი ასიმილაცია; აზოტისა და ენერგეტიკული ცვლის ფერმენტების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, კინეტიკა და რეგულაცია; ამონიუმის პირველადი ასიმილაციისა და ჭარბი ამონიუმის დეტოქსიკაციის გზები უმაღლეს მცენარეებში; მცენარის უჯრედის ჰომეოსტაზი და რეორგანიზაცია გარემოს დამაბინძურებელი ტოქსიკანტების გავლენით; მცენარეთა ადაპტაციის მექანიზმები და სხვ. **ს**. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. სხვადასხვა თანაავტორთან ერთად მიღებული აქვს პატენტები.

თხზ: სადუნიშვილი თ., საქართველოს აგრარული კულტურა (თანაავტ.), თბ., 2021; Kvesitadze, G., Khatisashvili, G., Sadunishvili, T, Ramsden, J.J. Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants. Basis of Phytoremediation. Berlin, Heidelberg, 2006; Sadunishvili T., Kvesitadze E., Kvesitadze G. Nanotechnology to Aid Chemical and Biological Defence (Xanthomonas vesicatoria specific virus and its potential to prevent tomato bacterial spot disease). Netherlands, 2015.